თბილისის “დინამოს” გამარჯვება

გუშინ, მინსკში თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა ფეხბურთში სსრ კავშირის 1948 წლის პირველობის გათამაშების მეორე წრის პირველი კალენდარული მატჩი. მის წინააღმდეგ თამაშობდა ადგილობრივი “დინამოს” გუნდი.

მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით 3:0. ამჟამად, თბილისელებს 14 მატჩის 28 შესაძლებლიდან მოგროვილი აქვთ 20 ქულა და პირველობის გათამაშებაში მე–3 ადგილზე გამოდიან. მორიგ მატჩს ისინი ჩაატარებენ 1 აგვისტოს მოსკოვში “ცდკას” გუნდთან.

“კომუნისტი”, 28 ივლისი, 1948 წ.